ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 აგვისტოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 07 სექტემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში ცვლილების შეტანისა და 26 სექტემბრის საკრებულოს რიგგარეშე ხხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2020 წლის 25 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 19

დ. ხარაგაული 25 აგვისტო 2020 წელი

9 აპრილის ქ. #15

სხდომას თავმჯდომარეობდა - მანანა ბარბაქაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

რუსუდან გიორგაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

ვარლამ ჭიპაშვილი - საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,

გივი თხელიძე - საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

მალხაზი ფხალაძე - საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

ოთარ ლურსმანაშვილი - საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

პაატა გოგოლაძე - ფრაქცია „ ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ -ს თავმჯდომარე,

იუზა კელენჯერიძე - ფრაქცია „ ქართული ოცნება - მრეწველები“ - ს“ თავმჯდომარე,

ინგა მაღრაძე - ფრაქცია „ თვითმმართველობა ხალხისათვის“ - თავმჯდომარე,

დავით კიკნაძე (სათათბირო ხმის უფლებით შვებულებაში ყოფნის გამო),

ქეთევან ზუმბაძე - ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა- ძალა ერთობაშია“ თავმჯდომარის მოადგილე

მერიის წარმომადგენლები:

კახაბერ გოლუბიანი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

ვლადიმერ გელაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ლ. გოგოლაძე -გაზეთ „ჩემი იმერეთის“ დირექტორი,

ნ. კაპანაძე -გაზეთ „ჩემი იმერეთის“ ჟურნალისტი,

მ. შარიქაძე- ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“

ჟურნალისტი

საკრებულოს აპარატი:

ლ. კალანდაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი,
ნინო თხელიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის

საკითხებში,

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს

გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა,

დღის წესრიგი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 07 სექტემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში ცვლილების შეტანისა და 26 სექტემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N17 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

3 ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 სექტემბრის N31 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე 9

წინააღმდეგი 0.

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა,

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვ. გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე, მან აღნიშნა, რომ

მთავრობის განკარგულებით მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო თანხა, რომლითაც ფინანსდება 4 პროექტი საგზაო ინფრასტრუქტურის მიმართულებით,

აზრი გამოთქვეს:

ი. მაღრაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ არ ეთანხმება ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების ამგვარ გადანაწილებას, მიმაჩნია, რომ უმჯობესი იქნებოდა ერთ რომელიმე ადმინისტრაციულ ერთეულში სრულად ფინანსდებოდეს პროექტი და არა ასე ნაწილ - ნაწილ, ეს არის საარჩევნოდ გადმოგდებული სატყუარა. მკაცრად უნდა კონტროლდებოდეს შესრულებული სამუშაოს ხარისხი, ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა საკრებულოს სხდომაზე იქნებ მოგვცეს განმარტება, არის თუ არა ამ სამუშაოების პროექტები სათანადოდ შემოწმებული, რომ აღარ ჩავარდეთ ისეთ დღეში, როგორც ეს ღუდუმექეთის გზაზე მოხდა,

მ. ფხალაძემ განმარტა, რომ რამდენადაც მას აქვს ინფორმაცია ღუდუმექეთის გზასთან დაკავშირებით მერია იწყებს სასამართლო დავას,

ვ. ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ მივესალმები 4 პროექტის დაფინანსებას , ბაზალეთში ჭიპაშვილების უბანში გზის რეაბილიტაცია აუცილებელია და დროულად ხდება სამუშაოების დაწყება, ასევე საფინანსო კომისია მხარს უჭერს დასუფთავების აიპისათვის მეორადი მანქანის შესყიდვას, რადგან ახალი ძალიან ძვირი ჯდება და ბიუჯეტს ამის საშუალება არ გააჩნია, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ უნდა გაკონტროლდეს საწვავის ხარჯი , დევებიs ქანდაკება ხარაგაულისათვის სავიზიტო ბარათია და მისი რეაბილიტაციაც დროულია და მისასალმებელი, აქვე მინდა დავამატო, რომ ღორეშა - სარგვეშის გზის მშენებლობის პერიოდში 4 ადგილზე ძალიან დაზიანდა ასფალტის საფარი ბაზალეთში, მერიამ ამთავითვე უნდა გაატაროს ღონისძიება, რომ ამ საფარის აღდგენა დაევალოს ააქ მომუშავე კომპანიას. კომისია წარმოდგენილ საბიუჯეტო ცვლილებას მხარს უჭერს,

ი. კელენჯერიძემ მოითხოვა მომავალი წლისთვის მაინც გათვალისწინებული იქნეს ღარიხევის გზის რეაბილიტაცია, პროექტი არის მზად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2020 წლის 26 აგვისტოს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე 9

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2020 წლის 26 აგვისტოს სხდომის დღის წესრიგში და

მოიხსნას 2020 წლის 07 სექტემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგიდან.

2. საკითხის განხილვა დაევალა საფინანსო- საბიუჯეტო კომისიას.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის კახაბერ გოლუბიანის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N17 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2020 წლის 07 სექტემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე 9

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2020 წლის 07 სექტემბრის სხდომის დღის წესრიგში.

2. საკითხის განხილვა დაევალოს კომისიებს.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის კახაბერ გოლუბიანის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 სექტემბრის N31 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2020 წლის 07 სექტემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე 9

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2020 წლის 07 სექტემბრის სხდომის დღის წესრიგში.

2. საკითხის განხილვა დაევალოს კომისიებს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი 2020 წლის 26 აგვისტოს რიგგარეშე სხდომისა და 07 სექტემბრის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგების დამტკიცებასთან დაკავშირებით

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე 9

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. დამტკიცდეს 2020 წლის 26 აგვისტოს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი(თან ერთვის),
2. დამტკიცდეს 2020 წლის 07 სექტემბრის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის)

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 26 აგვისტოს რიგგარეშე

სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 07 სექტემბრის საკრებულოს სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხს: გიორგი ჭყოიძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის განხილვისა და შეფასების თაობაზე

მომხს: ზურაბ ბანცაძე

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის განხილვისა და შეფასების თაობაზე

მომხს: ჯაბა ბერაე

6. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ ზონების განსაზღვრის შესახებ, რომლებშიც I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობათა განთავსება/მშენებლობა სავალდებულოა II კლასისთვის დადგენილი წესით

მომხს: ზურაბ ბანცაძე

7. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N17 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

8. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 სექტემბრის N31 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**